საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №163/19-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 17 სექტემბრის №163 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ უსაფუძვლოდ გააჭიანურა მისი საქმის განხილვა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2019 წლის 17 ივნისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების -- --, -- -- და -- -- მიმართ, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 18 ივნისის განჩინებით, -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი. განჩინების თანახმად, დასაზუსტებელი იყო მოპასუხე მხარე, კერძოდ, ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

ხარვეზის შევსების მიზნით, -- -- 2019 წლის 21 ივნისს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოპასუხე მხარედ დაამატა -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 24 ივნისის განჩინებით, -- -- სარჩელზე გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, ვინაიდან დასაზუსტებელი იყო სარჩელში დაყენებული შუამდგომლობები.

ხარვეზის შევსების მიზნით, -- -- 2019 წლის 3 ივლისს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 8 ივლისის განჩინებით, -- -- გაუგრძელდა სარჩელსა და შუამდგომლობაზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა.

საქმის განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, 2019 წლის 17 ივლისს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

ხარვეზის შევსების მიზნით, -- -- 2019 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 24 ივლისის განჩინებით, -- -- გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა.

2019 წლის 5 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადება-შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიუთითა, რომ მოპასუხე, მისი შეხედულებით, უნდა იყოს -- --, რაც შეეხება -- --, მასაც ტოვებს მოპასუხე მხარედ, ამასთან ითხოვა, რომ სასამართლომ მიიღოს ან არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების გარეშე.

საქმის განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, 2019 წლის 6 აგვისტოს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინებით, მოსარჩელეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 20 დღით. 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინება -- -- გაეგზავნა 2019 წლის 9 აგვისტოს.

საქმის განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, 2019 წლის 10 სექტემბერს, საქმე დაუბრუნდა ძირითად განმხილველ მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2019 წლის 13 აგვისტოს. აღნიშნული განჩინებით განსაზღვრული ვადის და ზემოაღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, მოსარჩელეს, ხარვეზის შევსების მიზნით, სასამართლოსთვის უნდა მიემართა 2019 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ხარვეზი არ იყო შევსებული სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 17 სექტემბრის №163 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მითითება საქმის განხილვის გაჭიანურებაზე საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან სარჩელი წარმოებაში არ ყოფილა მიღებული და შესაბამისად, სასამართლოს სარჩელის განხილვა არ ჰქონდა დაწყებული.

ამასთან, რაც შეეხება საკითხს, ჰქონდა თუ არა მოსამართლის მხრიდან საპროცესო ნორმების დარღვევას, ამ კუთხით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსამართლე -- -- საქმის ელექტრონული წესით განსახილველად გადაცემიდან მეორე დღესვე (07.08.2019) მიიღო განჩინება და მოსარჩელეს გაუგრძელა

ხარვეზის შევსების ვადა 20 დღით. აღნიშნული განჩინება კი მოსარჩელეს ჩაბარდა 2019 წლის 13 აგვისტოს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2019 წლის 2 სექტემბერს, ხოლო საქმე ძირითად განმხილველ მოსამართლეს დაუბრუნდა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო დღიდან 4 დღის ვადაში (09.09.2019).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების, ისევე როგორც რაიმე სახის პროცესუალური დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №163/19-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი